საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2014 წლის 9 იანვრის

დადგენილება № 1057

საგანმანათლებლო პროგრამებში და სილაბუსებში

ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გათვალისწინებულ იქნეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ექსპერტთა რეკომენდაციები და საბაკალავრო პროგრამებში: 1.აგრონომია; 2.მეცხოველეობა; 3.ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია და მათ შემადგენელ სილაბუსებში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1.1 აგრონომიის საბაკალავრო პროგრამაში:

ა. გასწორდა ორი საგნის დასახელება, რომლებიც ინგლისურიდან პირდაპირი თარგმნით გაუმართავად ჟღერდა. მაგ: პესტ მენეჯმენტ "მავნებლის მართვა" . ჩაიწერა "დაავადების კონტროლი"
ასევე უკუთარგმანში მევენახეობა (virticulture) ჩაიწერა viticulture=ის ნაცვლად;
ბ. საგანმანათლებლოსაგან "ფიტოპათოლოგია"-ს წინმსწრებ ზოგადი ბიოლოგიის სალექციო კურსში ვირუსული დაავადებების შესწავლის შედეგიანობისათვის დამატებით შეტანილი იქნება თემა ვირუსოლოგიის შესახებ;

1.2 მეცხოველეობის საბაკალავრო პროგრამაში:

ა.გასწორდა ტექნიკური შეცდომით გამოწვეული შეუსაბამობა პროგრამაში დაფიქსირებულ კვალიფიკაციასა (ბაკალავრი მეცხოველეობაში) და თვითშეფასებაში მითითებულ კვალიფიკაციას (მეცხოველეობის ბაკალავრი) შორის. ორივე ადგილას დაფიქსირდა სწორი კვალიფიკაცია- მეცხოველეობის ბაკალავრი.

1.3 ზოგადი რეკომენდაციები:

სამ პროგრამაში:1.აგრონომია;2.მეცხოველეობა;3.ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია, გათვალისწინებულ იქნა შემდეგი სახის ზოგადი რეკომენდაციები:

ა. პროგრამის აღწერა დაზუსტდა შემდეგი სახით:

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 27 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 4 წელი (8 სემესტრი) და მოიცავს 240 კრედიტს (ECTS) (ძირითადი სასწავლო კურსები - 220 კრედიტი, აქედან 211 კრედიტი სავალდებულო და 9 კრედიტი არჩევითი. თავისუფალი კომპონენტები 20 კრედიტი. სასწავლო პროცესი (21 კვირა) გაწერილია შემდეგნაირად: 15 კვირა სწავლება; ორი კვირა, კერძოდ VII და XIV კვირა შუალედური გამოცდები . ესე იგი სწავლება და ორი შუალედური შეფასება ხორციელდება 17 კვირის განმავლობაში (I-XVII კვირა) .XVIII-დან XXI კვირის ჩათვლით ხორციელდება სესიები (ძირითადი და დამატებითი გამოცდები);

ბ. სილაბუსებში მითითებულ იქნა საგნის სტატუსი;

დ. სილაბუსებში დამატებულ იქნა შუალედური გამოცდების შეფასება შემდეგი სახით:
ორი შუალედური გამოცდა ხორციელდება დახურულკითხვებიანი ტესტებით. თითოეული შუალედური გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 20 ქულა და მოიცავს 20 საკითხს. თითოეულ მათგანს აქვს რამდენიმე სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება შესაბამისად 1 ქულით, არასწორი პასუხის შემთხვევაში შეფასება შეადგენს 0 ქულას.
ჯამურად ორივე შუალედური გამოცდის მაქსიმალური შეფასება 40 ქულაა.

ე. ვინაიდან ამ ეტაპზე შეუძლებელია გასწორდეს შეუსაბამობა უნივერსიტეტის შიდა დოკუმენტში, რომელიც სემესტრულ დატვირთვას 30 კრედიტით ექსპერტების აზრით დაზუსტებით ვერ განსაზღვრავს , სამივე აგრარულ პროგრამაში დაშვებულ იქნა სემესტრული კრედიტების რაოდენობის თავისუფალი გადანაწილება იმ პირობით,რომ წლიური კრედიტების რაოდენობა არის მკაცრად 60;

ვ. შემუშავებულ იქნა პროგრამის აღმწერი ცხრილის განსხვავებული ფორმა, რომელიც საშუალებას იძლევა უფრო კომპაქტურად და კომფორტულად იქნეს მიღებული სრული ინფორმაცია პროგრამის შესახებ;

ზ. ყოველკვირეულ შეფასებას დაემატა შეფასების ჯამური მაქსიმალური ქულების რაოდენობა (ყოველკვირეული 2 ქულა X 15 კვირაზე=30ქულა).

2. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების საფუძველზე ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში „საინჟინრო მენეჯმენტი“ განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

2.1 სასწავლო კურსებში (სილაბუსებში) დაკონკრეტდეს სტუდენტის ცოდნის შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები;

2.2 შეიცვალოს სასწავლო კურსის სახელწოდება „შესავალი საინჟინრო მენეჯმენტში“ სახელწოდებით „შესავალი სპეციალობაში“;

2.3 დაზუსტდეს სასწავლო კურსის „მენეჯერული ეკონომიკის“ შინაარსობრივი მხარე;

3. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების საფუძველზე ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში „ბიოსამედიცინო ინჟინერია“ განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

3.1 მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვროს შემდეგნაირად - „ინჟინერიის ბაკალავრი, ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციისა და მართვის სისტემებში“ (Bachelor of Engineering in Instrumentation, Automation and Control Systems) მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული ძირითადი სპეციალობის 180 კრედიტის და თავისუფალი კომპონენტების არანაკლებ 240 კრედიტის შესრულების შემთხვევაში.

3.2 პროგრამაში არსებულ თავისუფალ კომპონენტებზე (მოდულებზე) დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია პროგრამაში არსებული ძირითადი სპეციალობის 180 კრედიტის შესრულება.

3.3 სასწავლო კურსებში (სილაბუსებში) დაკონკრეტდეს სტუდენტის ცოდნის შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები;

3.4 საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსი „ელექტრონული ბიზნესის საფუძვლები“ ჩანაცვლდეს იგივე მოცულობის კრედიტების მქონე სასწავლო კურსით - „ეკონომიკის თეორიის საფუძვლები“.

4. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების საფუძველზე ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში „მშენებლობის მენეჯმენტი“ განხორციელდეს გარკვეული ცვლილებები და დამტკიცდეს პროგრამის მოდიფიცირება წარმოდგენილი სახით. (ცვლილებები თან ერთვის).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე